



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
დადგენილება №11  
17 თებერვალი 2017 წ.

ქ. მარნეული

**„მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ოქტომბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ოქტომბრის „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ №31 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 010250040.35.159.016163;22/10/2014წ) და:

1. შევიდეს ცვლილება პრეამბულაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის გ.ბ) ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“.

2. დანართი 1-ის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) განახორციელოს სახელმწიფო ზედამხედველობა საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში და გამოავლინოს შემდეგი სამართალდარღვევის ფაქტები:“.

3. დანართი 1-ის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ.ს“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის გამგებელსან მის მიერ უფლებამოსილ ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეს.“.

4. დანართი 1-ის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მარნეულის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სამართალდარღვევის ოქმის (მკარი აღრიცხვის ფურცელი, საჯარიმო ქვითარი) გამოყენების გზით ზემოთხსენებული უფლებამოსილების ფარგლებში მოახდინოს სამართალდამღვევის მიმართ საქართველოს კანონი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ით დადგენილი ჯარიმის დაკისრება, საამისოდ სამსახურებრივად უფლებამოსილი პირის მიერ.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი:

ვალერი მეტრეველი